

სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №19043

2025 წლის 26 აგვისტო

ქ. თბილისი

„გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდური მითითების:

ა) მე-4 მუხლის 7¹ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7² პუნქტი:

„7². დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდზე პირის მიმართ სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ჯარიმის აღიარების შემდეგ, საქმიანობის იმავე პერიოდზე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების დაზუსტების შემთხვევაში, თუ დაზუსტებით მცირდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა გათავისუფლებული ოპერაციებისა) თანხა, ძირითად ბარათზე დარიცხული ჯარიმა ექვემდებარება შემცირებას ავტომატურ რეჟიმში, შესაბამისი სხვაობის თანხის სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ოდენობით, საგადასახადო მოთხოვნის გამოცემის გარეშე.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ირაკლი ბერაია

